საქართველოს მთავრობის

დადგენილება №57

2012 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 7 ნოემბრის №698 ბრძანებულების შესაბამისად, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის დანერგვის მიზნით:

1. დამტკიცდეს თანდართული „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტი“ (შემდგომში – სტანდარტი).

2. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებმა:

ა) რომლებშიც უკვე დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა, თავიანთი პროგრამა მოიყვანონ შესაბამისობაში ამ დადგენილებით დამტკიცებულ სტანდარტთან არა უგვიანეს 2012 წლის 1 აპრილისა;

ბ) რომლებშიც ჯერ არ დანერგილა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა, დანერგონ სტანდარტის შესაბამისი პროგრამა არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა განახორციელონ არა უგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა, ხოლო ქალაქ თბილისის თვითმმართველმა ერთეულმა სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამა დანერგოს არა უგვიანეს 2012 წლის 1 ივნისისა.

მუხლი 2. 2012 წლის 1 აპრილიდან ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი პროგრამის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახურისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისაგან.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №302 – ვებგვერდი, 27.07.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №347 – ვებგვერდი, 30.08.2012წ.

მუხლი 3. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ პროგრამაში მოცემული თანამდებობები უნდა შეესაბამებოდეს „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით განსაზღვრულ მთავარ, წამყვან, უფროს და უმცროს საჯარო თანამდებობებს.

მუხლი 4. ამ დადგენილების მოქმედება 2014 წლის 1 იანვრამდე ვრცელდება მხოლოდ №1 დანართით განსაზღვრულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებზე, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან – ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაზე.

მუხლი 5. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე.

მუხლი 6. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებმა არა უგვიანეს 2012 წლის 1 მარტისა საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინონ ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ჩართვის გრაფიკი.

მუხლი 7. ამ დადგენილების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო სამსახურის ბიურომ.

მუხლი 8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის დადგენილება №302 – ვებგვერდი, 27.07.2012წ.
2. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №347 – ვებგვერდი, 30.08.2012წ.